CMC × Signify

გამარტივებული ციფრული კონტრაქტინგი 200-მდე პარტნიორ კომპანიასთან

ქეისი

გაციფრულებული კონტრაქტინგის პროცესი
CMC | Construction Management Company-ში

კომპანია

CMC საქართველოში მშენებლობის მენეჯმენტის პირველი და ყველაზე დიდი კომპანიაა, რომელიც 2009 წლიდან ოპერირებს ბაზარზე. ,,სიემსის" პორტფელში 100-ზე მეტი დასრულებული პროექტია, 3 მილიარდი დოლარის საერთო საინვესტიციო ღირებულებით. ამჟამად კომპანია 20-მდე პროექტის განხორციელებაზე მუშაობს.

გამოწვევა

თითოეული პროექტის ფარგლებში CMC-ის კომპანიის გავლით ხდება ასობით დოკუმენტის მომზადება და ხელმოწერა. თითოეული პროექტის შესრულების პროცესში ჩართულია რამდენიმე სამშენებლო, საინჟინრო, სარემონტო და სხვა განსხვავებული პროფილის მქონე კომპანია, რომლებიც წინასწარ დადგენილი თანმიმდევრობით მონაწილეობენ დოკუმენტების ხელმოწერის პროცესში. ასეთი კომპლექსური მოცემულობიდან გამომდინარე, კომპანიის წინაშე იდგა ურთულესი ამოცანა, დამატებითი ოპერაციების გარეშე, უმტკივნეულოდ მოეხდინა პროექტში ჩართული ყველა მხარის ინტეგრაცია დოკუმენტების წარმოების პროცესში.

გადაწყვეტა

Signify-ს ციფრული კონტრაქტინგის პლატფორმის საშუალებით დოკუმენტბრუნვა სრულად გაციფრულდა, როგორც კომპანიის გარეთ, პარტნიორებთან, ასევე შიდა პროცესებისთვის. ერთი წელია რაც ,,სიემსი" Signify-ის პლატფორმას წარმატებით იყენებს და ამ ხნის განმავლობაში 200 მდე პარტნიორ კომპანიასთან ერთად 10 000-მდე დოკუმენტი გააფორმა ელექტრონულად.დაკონტრაქტების დრო კი მინიმუმამდე, 7 საათამდე შემცირდა.

გამომდინარე იქიდან, რომ ერთი პროექტის ფარგლებში ძალიან ბევრი სხვადასხვა ტიპის კომპანია თუ პირია ჩართულია, დოკუმენტებიც უფრო კომპლექსურია, შესაბამისად საჭირო იყო ამ პროცესების გამარტივება. ,,სიემსიმ" შექმნა დოკუმენტის შაბლონები, რომელიც საშუალებას აძლევს, წინასწარ განსაზღვროს დოკუმენტში ისეთი ინფორმაცია როგორიცაა: ხელმოწერის, დადასტურების, დამატებით ფაილის მიბმის, კომენტარის, მოსანიშნი და სხვა ველები. პლატფორმის საშუალებით წინასწარ ხდება ხელმოწერისა და დადასტურების მიმდევრობის განსაზღვრაც.
ასევე, სისტემა ავტომატურად აგზავნის ინფორმაციულ შეტყობინებებს ყველა ჩართულ მხარესთან, როგორც მიმდინარე ასევე დასრულებული დოკუმენტების შესახებ.

ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კი დოკუმენტების გაზიარება, დაარქივება და მოძებნა იყო, კომპანია აქტიურად იყენებს საზიარო საქაღალდეებს, ერთ სივრცეში ინახავს ყველა დოკუმენტს, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან.



Signify-ს სისტემაზე გადასვლით დოკუმენტების წარმოების პროცესში კომპანიის ყოველდღიურობიდან გამოთავისუფლდა უდიდესი დრო და ენერგია. Signify-ს გუნდი თითოეულ ჩვენ თხოვნას უდიდესი ყურადღებით უდგება, რაც პროდუქტის მუდმივი განახლების და განვითარების საწინდარია.

გიორგი ნოზაძე
CMC-ის პროექტების კოორდინატორი

შედეგი ბიზნესზე

1 წელი
დანერგვიდან

200-მდე
პარტნიორი კომპანია

1 დღე
დოკუმენტის ხელმოწერისთვის

1 წელია, რაც ,,CMC" ციფრული კონტრაქტინგის პლატფორმას (Signify) აქტიურად იყენებს. ამ პერიოდის განმავლობაში გაფორმდა **10 000**-მდე დოკუმენტი **200**-მდე პარტნიორ კომპანიასთან. დაიზოგა **138 276** ფურცელი, მნიშვნელოვნად გამარტივდა და **1 დღემდე** შემცირდა პროექტების ფარგლებში ყველა ჩართულ მხარესთან დოკუმენტის ხელმოწერის პროცესი. 🚀

Signify

ციფრული კონტრაქტინგისა და ელექტრონული ხელმოწერების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდს

signify.ge

© Signify 2023, ყველა უფლება დაცულია